მოსწავლის მიერ შექმნილი თვალსაჩინოების ეფექტი უმცროს სასკოლო ასაკში

ნანა ფუტკარაძე, ნანული ჩხაიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nana.phutkaradze@bsu.edu.ge, chxaidzenano26@gmail.com

რეზიუმე

თვალსაჩინოების როლი - მოსწავლეთა აღქმა, გაგება, გააზრებაში, საკმაოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნიუანსია. აღსანიშნავია რომ პირდაპირი ახსნის მეთოდით ინფორმაციის მიწოდება შედარებით ნაკლებ ინტერესსა და ცოდნის შეძენას იწვევს ვიდრე თვალსაჩინოების სახით მიწოდებული მასალა უმცროს სასკოლო ასაკში. ჩვენს მიერ წარმოდგენილ სტატიაში საუბარი გვაქვს თვალსაჩინოების მომზადების პროცესზე, რაშიც ჩართულები იქნებიან მოსწავლეები. თვითონ მოუწევთ შეგროვება რესურსის თუ ინფორმაციული წყაროსი ,თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. შემდეგ კი საგაკვეთილო პროცესში მოხდეს მისი შექმნა, სადაც მთელი კლასი იქნება ჩართული.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გაცილებით უკეთესი შედეგი დაიდო აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით, მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებით, ვიდრე პედაგოგის მიერ მომზადებული თვალსაჩინოებით.

საკვანძო სიტყვები: თვალსაჩინოება, განათლება, სასკოლო ასაკი, სასკოლო რესურსი.

1. შესავალი.

თვალსაჩინოება ერთერთი მნიშვნელოვანი რესურსია დაწყებით კლასებში. რომელიც მოსწავლეებში აზრის გამოთქმის, ჩამოყალიბების და თვითშეფასების უნარს ავითარებს. მისი მთავარი არსი, მოსწავლეებში ინტერესის გაღვივებაა. თვალსაჩინოება უმარტივებს რთულ მასალასა თუ საკითხს რომ იოლად გაიგოს ბავშვმა ახალი მასალა. შესაბამისად აუმაღლებს მოტივაციას და მისი საშუალებით უკვე დაგროვილი ცოდნა მარტივად გამოსაყენებელია პრაქტიკაში, სხვადასხვა სიტუაციებში. ახალი მასალის ახსნისას თვალსაჩინოება ზრდის, აღქმის, გააზრების, დასწავლისა და გაგების პროცესს პარალელურად უვითარებს ანალიზის უნარსაც, რომელიც მჭიდრო კავშირშია წიგნიერებასთან და ინტელექტუალურ რეალიზებასთან.

მეთოდები: კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, შედარების, კრიტიკული და ანალიზის მეთოდები.

2. მსჯელობა.

მასწავლებელი როდესაც ხსნის ახალ მასალას რომელსაც თან ერთვის თანმხლები საფეხურეობრივი პროცესები ეს იქნება ზოგადი წარმოდგენა, ინფორმაციის მოძიება, კითხვა-პასუხის რეჟიმი, გონებრივი იერიში და ასე შემდეგ ამასთანავე მას ხელთეწიფება მისივე ხელით შექმნილი თვალსაჩინოება, ეს იქნება ვიდეორგოლი, პლაკატისა თუ რუქის სახით აბსოლუტურად მისაღები და მისასალმებელია. აქვე ფასდება პედაგოგის დაუღალავი შრომა, პასუხისმგებლობა, აკადემიური კომპეტენცია და შრომისმოყვარეობა. რა საკვირველია ასეც უნდა იყოს. მაგალითად აქვე დავკონკრეტდები და ხაზგასმით ვიტყვი აუცილებელია მოსწავლის ჩართულობა და მზრუნველობა თვალსაჩინოების მომზადებაში რა თქმა უნდა მისი შესაძლებლობითა და კომპეტენციის ხარჯზე. უდავოა ის ფაქტი, რომ თვალსაჩინოება

გაცილებით ეფექტურია ვიდრე ზეპირი ინფორმაციული მშრალი ახალი ტექსტის მიწოდება მოსწავლეებზე ახალი მასალის ახსნისას. თუმცაღა ჩვენი კვლევიდან გამომდინარე გაცილებით ეფექტური და საფუძვლიანია მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოება.

დაწყებით კლასებში თვალსაჩინოება ის მნიშვნელოვანი პირობაა, რომელიც მოსწავლეებში აზრის გამოთქმის, ჩამოყალიბების და თვითშეფასების უნარს ავითარებს. მისი მთავარი არსი, მოსწავლეებში ინტერესის გაღვივებაა. თვალსაჩინოება უმარტივებს რთულ მასალასა თუ საკითხს რომ იოლად გაიგოს ბავშვმა ახალი მასალა. შესაბამისად აუმაღლებს მოტივაციას და მისი საშუალებით უკვე დაგროვილი ცოდნა მარტივად გამოსაყენებელია პრაქტიკაში, სხვადასხვა სიტუაციებში. ახალი მასალის ახსნისას თვალსაჩინოება ზრდის, აღქმის, გააზრების, დასწავლისა და გაგების პროცესს პარალელურად უვითარებს ანალიზის უნარსაც, რომელიც მჭიდრო კავშირშია წიგნიერებასთან და ინტელექტუალურ რეალიზებასთან. განათლების სისტემა მიზნად ისახავს სწავლება სწავლისათვის ხელსაყრელ პირობის შექმნას. ვიზუალური თვალსაჩინოებაც ერთ-ერთი მასში შემავალი მთავარი კომპონენტია, ეს იქნება ვიზუალური, გონებრივი, ფიზიკური თუ სხვა და სხვა სახით მიწოდებული ინფორმაცია , რომელიც მოსწავლის გონებამდე გასაგებად და ინტერესით უნდა მივიტანოთ. მასწავლებლის მთავარი ამოცანაა ცოდნასთან ერთად დახვეწოს და გაუუმჯობესოს სხვადასხვა უნარ-ჩვევები. სასწავლო პროგრამის განხორციელების არსიც კი იმაში მდგომარეობს რომ მოსწავლეს ინტერესი და ცოდნა ეტაპობრივად გაუღრმაოს, თანმიმდევრობის, სირთულის მიხედვით.

მასწავლებლის ლომის წილი იმაში მდგომარეობს რომ, სასწავლო პროცესი საფუძვლიანად და თანამედროვე მეთოდოლოგიური პრინციპით წარმართოს. ბავშვებს შესაბამისი დონის მასალით დაგროვილი ცოდნის საფუძველზე ჩამოუყალიბოს შესაბამისი უნარ-ჩვევები. იმ სახის მასალა მიაწოდოს, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს ჰუმანურ სინამდვილისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას.

მასწავლებლის კონკრეტული მიზანია მოსწავლეებში ცოდნის განვითარება- გაღრმავება, სწავლება და დახვეწა. სოციალურ-კომუნიკაციური უნარების განვითარება ლექსიკური და ენობრივი ფუნქციების სწავლება (დიალოგი, დისკუსია, პოლემიკა) და შემდგომი სრულყოფა.

პროგრამულად მასალის მოცულობა და სპეციფიკა შესაბამისი სახელმძღვანელოების სხვადასხვა საფეხურზე შემდეგნაირია: პროგრამა ითვალისწინებს აქტიურ და კრეატიულ სწავლებას: პირველივე საფეხურიდან ბავშვებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ ახალი მასალა

მათივე კომუნიკაციის საფუძველზე, ჩაერთონ ჯგუფურსა თუ გუნდურ მუშაობის პროცესში ერთმანეთთან აზრის გაზიარებით. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ნიუანსის გათვალისწინება: ლოგიკურ-მათემატიკური, ლინგვისტური, სივრცითი, მუსიკალური, მოძრაობითი, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, მოსწავლეების ასაკზე და შესაძლებლობებზე მორგებით. მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი ისე რომ დავალებათა მრავალფეროვნებამ მოიცვას შემსწავლელთა სხვადასხვა სახეობა, მაგალითად: ზოგიერთი მოსწავლე სიმღერით გაცილებით ადვილად სწავლობს, ზოგიერთი ბავშვი როლური თამაშით, ზოგი კი მასწავლებლის ხშირი გამეორებით და ა. შ. სწორედ სწავლების ამ საფეხურზე სასურველია ვიზუალური და ფიზიკური მოქმედებების დაუფლება, რაც უშუალო კავშირშია ბავშვის გარემომცველ სამყაროსთან. მაგალითად საკლასო ოთახის აღწერა, ფერები და სხვადასხვა გარშემომყოფი საგნები. მასწავლებლები პირველ საფეხურზე უხვად იყენებენ სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებს რომელიც მიზნად ისახავს სირთულეების გადაჭრას, ეს იქნება კროსვორდები, გამოტოვებული სიტყვები, ტექსტის დასრულება, გაფერადება, თუმცა

ამ ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებზე მორგებული და მათი კომპეტენციის შესაბამისი თვალსაჩინოება. მეორე საფეხურზე კი მასწავლებელმა ათვისებული მასალის განმტკიცება და შემდგომი სრულყოფილება უნდა მოახდინოს . მოსწავლის ცოდნის ამაღლებას ხელს უწყობს აგრეთვე აუდიო და ვიდეო მასალები, რომლებიც თვალსაჩინოებების შემავალი კომპონენტია. რაც უზრუნველყოფს დასწავლას მოსმენისა ვიზუალური და საშუალების მეთოდით. ეს იქნება ტექსტიდან აღებული უცხო სიტყვები, ციტატები, ციტატები თუ ფრაზები. რომელებიც მოცემულია სახელმძღვანელოში პროგრამულად. მესამე საფეხურზე ფართოვდება თემატური არეალი და ამ ეტაპისთვის შინაარსი უფრო ზოგადი ხდება და გაცილებით მრავალფეროვანი. იქ უკვე განიხილება შესაბამისი სირთულით წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, სპორტი, ხალხი, ხელოვნება და ამასთან ერთად თან ერთვის გრამატიკის ნაწილიც. მეოთხე საფეხურზე მოსწავლეებში იგრძნობა ცოდნის დაუფლების მნიშვნელოვანი წინსვლა. მიუხედავად ამ ოთხივე საფეხურზე მნიშვნელოვან ადგილს და ჩვენი ინტერესისა და კვლევის სფეროს იკავებს თვალსაჩინოება. თვალსაჩინოებას დიდი როლი აკისრია მოზარდ თაობაში მათთვის უკვე გზა ხსნილია, მარტივად გაგებისაკენ და ამას არაერთი ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომელზეც სტატიის დასკვნაში დავკონკრეტდებით.

„ამერიკელი განათლების ფილოსოფოსის, ჯონ დიუსის სახელს უკავშირდება **პროგრესული განათლება**, რომელსაც XIX- საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. მოძრაობის მთავარ პრინციპს წარმოადგენდა გამოცდილებით სწავლება, სოციალური ინტერპრეტაციით და სწავლების საგანთან ინტერაქციით ცოდნის აგება. პროგრესული განათლება გულისხმობდა მოსწავლეზე ორიენტირებულ, მისი ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის მიერ წარმართულ სწავლების პროცესს. დიული ცდილობდა საკუთარი პრაქტიკით დაემტკიცებინა გამოცდილებით სწავლების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პოტენციალის უპირა-ტესობა. მას მიაჩნდა, რომ ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ კეთებით, საკუთარი გამოცდილებით, როცა ისინი თვითონ ქმნიან რამეს და როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავენ. დიუი არ უარყოფდა საფუძვლიანი ფაქტობრივი ცოდნის აუცილებლობას, მაგრამ ამასთანავე, ამბობდა, რომ განათლების ამ ტრადიციული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა, თუ იგი გადაინაცვლებდა მეორე ხარისხოვან ადგილზე, განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ფაქტების სწავლებას, მთავარია, მოსწავლეებმა შეიძინონ ის უნარი და ცოდნა, რომლის გამოყენებასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლებენ. დიუ და მისი განათლების ფილოსოფია ცოდნის პრაქტიკულობაზე იყო ორიენტირებული. დუისი სკოლაში თითქმის არ იყენებდა ისეთ ნაცად პედაგოგიურ ხერხებს, როგორიცაა გამეორება, ლექცია, საერთო საკლასო მუშაობა, სავარჯიშოების დაფასთან შესრულება და ასე შემდეგ. სამაგიეროდ მიმართავდნენ ფართომაშტაბიან ჯგუფურ პროექტებს, რომლებიც მოიცავდა ქსოვას, დურგ-ლობას, მზარეულობას. ასევე რეკომენდებული იყო მოსწავლის გარეთ გაყვანა: დაერგოთ ეშენებინათ, ესეირნათ ბუნებაში, მოეწყოთ ექსკურსიები. საგნები ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდებოდა; კულინარია, კერვა, ქსოვა, დურგლობა. სკოლა ლაბორატორიაში ბავშვები ზრდიდნენ ხორბალს, ფქვავდნენ პურს და აცხობდნენ, მაღალი კლასები კი მეტალის გადა-დნობას და ღუმელის გაკეთებასაც სწავლობდნენ. სკოლა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მთელ სოციალურ გარემოსთან, ოჯახთან, ბუნებასთან, საზოგადოებასთან. მოსწავლეები მათემატიკას დურგლობასთან ერთად სწავლობდნენ, ქიმიას კულინარიით, ისტორიას გააზრებით თანამედროვეობასთან შედარებით. მათი ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავდა ადგილობრივი სახანძროს მონახულებას ამ შემთხვევაში კი არ მიჰყავდათ და უხსნიდნენ

არამედ მხოლოდ გზას უჩვენებდნენ როგორ უნდა ემუშავათ, დაეცვათ უსაფრთხოება და გადაერჩინათ თავი ან კიდევ დახმარებოდნენ სხვას. გარდა ამისა მასწავლებლები დამატებით ეკითხებოდნენ პროგრამით გათვალისწინებულის გარდა რის სწავლა სურდათ და შესაბამის საკითხსა და მასალას ამუშავებდნენ და აწვდიდნენ მოსწავლეებს. სასწავლო გეგმა კი ითვალისწინებდა ბავშვი მთლიანობაში ინტელექტუალური, მორალურ და ჰუმანურ პიროვნებად ჩამოყალიბებულიყვნენ.“ (განვითარებისა და სწავლების თეორია;2011წ გვ 193-195)

მასწავლებელი როდესაც ხსნის ახალ მასალას რომელსაც თან ერთვის თანმხლები საფეხურეობრივი პროცესები ეს იქნება ზოგადი წარმოდგენა, ინფორმაციის მოძიება, კითხვა-პასუხის რეჟიმი, გონებრივი იერიში და ასე შემდეგ ამასთანავე მას ხელთეწიფება მისივე ხელით შექმნილი თვალსაჩინოება, ეს იქნება ვიდეორგოლი, პლაკატისა თუ რუქის სახით აბსოლუტურად მისაღები და მისასალმებელია. აქვე ფასდება პედაგოგის დაუღალავი შრომა, პასუხისმგებლობა, აკადემიური კომპეტენცია და შრომისმოყვარეობა. რა საკვირველია ასეც უნდა იყოს. მაგალითად აქვე დავკონკრეტდები და ხაზგასმით ვიტყვი აუცილებელია მოსწავლის ჩართულობა და მზრუნველობა თვალსაჩინოების მომზადებაში რა თქმა უნდა მისი შესაძლებლობითა და კომპეტენციის ხარჯზე.

უდავოა ის ფაქტი, რომ თვალსაჩინოება გაცილებით ეფექტურია ვიდრე ზეპირი ინფორმაციული მშრალი ახალი ტექსტის მიწოდება მოსწავლეებზე ახალი მასალის ახსნისას. თუმცაღა ჩვენი კვლევიდან გამომდინარე გაცილებით ეფექტური და საფუძვლიანია მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოება, რომლისგანაც მიღებული ცოდნა მყარ შედეგს იძლევა და არასოდეს მიეცემა დავიწყებას, რაც სხვა შემთხვევაში საპირისპირო შედეგს იძლევა. ჩვენი ინტერესიდან გამომდინარე რაც პროფესიულადაც ხელგვეწიფებოდა მოვახდინეთ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება დაწყებით კლასებში. დაკვირვებიდან გამომდინარე რეკომენდაციის სახით შევთავაზეთ ჩვენეული ვერსია, რომ მოსწავლეები ჩაერთოთ პედაგოგებს თვალსაჩინოების მომზადებაში. ბუნებრივია გაიზიარეს და რამდენიმემ მოახერხა განხორციელებაც კი. დავასახელებ რამდენიმეს. IV- კლასის ქართული ენა- ი. იაშვილი, ნ. მხეიძე. მ. აბესაძე - გიორგი შატბერაშვილის „მერცხლის ბუდე“ გბ.13-15). II-კლასი ქართული ენა. როდონაია-ნინო ბეზარაშვილი“ თოჯინა“ გვ. 78-79). ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ გავაკეთეთ გამოკითხვის მეთოდი სადაც მკვეთრად განსხვავდებოდა პირვანდელი შედეგისგან მეორადი მონაცემები .პირველადი შედეგების მაჩვენებელი და აქტივობა 40 პროცენტით გაიზარდა მას შემდეგ რაც მოსწავლეები გახდნენ თვალსაჩინოების თანამონაწილე.

დაკვირვებას ვახორციელებდით ბათუმის I, II, XV, და XXV საჯარო სკოლებში, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით. აქედან იქნა გამოკითხული 600 მოსწავლე და 70 მასწავლებელი. მასწავლებლებს საკმაოდ აკადემიურად და პროგრამის გათვალისწინებით მიჰყავდათ სასწავლო პროცესი, ქონდათ კრეატიული და სხვადასხვა აქტივობით დატვირთული გაკვეთილები თუმცა მოსწავლის ინტერესთა ხანგრძლივობა მოკლე დროშივე ნელდებოდა. ჩვენს მიერ შეთავაზებული მეთოდით შედეგი საგრძნობლად წამოიწია და ვიმედოვნებთ დაინერგება და პრაქტიკულად გამოადგებათ მასწავლებლებსა თუ სტუდენტებს რომლებიც მომავალი პედაგოგები იქნებიან.

შედეგები. კვლევიდან გამომდინარე მოსწავლეების მიერ მომზადებულმა თვალსაჩინოებამ გარკვეულ შედეგს მიაღწია, გაზარდა ინტერესი, მოტივაცია და აკადემიური მოსწრებაც შედარებით მაღალ ნიშნულზე ავიდა.

3. დასკვნა.

მასწავლებლებს საკმაოდ აკადემიურად და პროგრამით გათვალისწინებით მიჰყავდათ სასწავლო პროცესი, ქონდათ კრეატიული და სხვადასხვა აქტივობით დატვირთული გაკვეთილები თუმცა მოსწავლის ინტერესთა ხანგრძლივობა მოკლე დროშივე ნელდებოდა. ჩვენს მიერ შეთავაზებული მეთოდით შედეგი საგრძნობლად წამოიწია და ვიმედოვნებთ დაინერგება და პრაქტიკულად გამოადგებათ მასწავლებლებსა თუ სტუდენტებს რომლებიც მომავალი პედაგოგები იქნებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განვითარებისა და სწავლების თეორიები 2011 წელი.
2. დ.უზნაძის ზოგადი 2018 ფსიქოლოგია
3. ეროვნული სასწავლო გეგმა
4. ვ.როდონაიას 2018 „ქართული ენა“ I კლასი საქართველოს მაცნე წელი.
5. ვ. როდონაიას 2018. „ქართული ენა“ II კლასი მე-2 ნაწილი საქართველოს მაცნე
6. ი. გოგებაშვილის 2019 „დედა ენა“ I კლასი მე-2 ნაწილი
7. ნ. ბასილაძე 2018,,პედაგოგიკა“ წელი.
8. ნ. მაღლაკელიძე 2018 „ქართული ანბანი და საკითხავი წიგნები“ I კლასი მე-2 ნაწილი წელი გამომცემლობა მერიდიანი.
9. ნ. მაღლაკელიძე ,,ქართული ენა და ლიტერატურა“ II კლასი მე-2 ნაწილი გამომცემლობა მერიდიანი 2018 წელი. https://www.mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo

Efficiency of student-made illustrative materials in early school Age

Nana Phutkaradze, Nanuli Chkhaidze

Batumi Shota Rustaveli State University

nana.phutkaradze@bsu.edu.ge, chxaidzenano26@gmail.com

Abstarct

The use of visual aids in the teaching and learning process plays a crucial role in students‘ perception, understanding, and comprehension. For younger students in particular, visual materials are one the most effective ways to increase interest and motivation for learning. practice shows that verbal explanations alone are less effective – information supported by visual aids perceived more deeply and retained longer in memory. within the framework of our research, special attention was given to the process of creating visual aids, in which students themselves are actively involved. they are given opportunity to search for end collect resources

Independently, select information within their capabilities, and then create visual materials during the lesson. this approach engages the entire class, fostering both motivation and e sense of the study clearly demonstrated that in the groups where students created the visual aids themselves, academic achievement levels were significantly higher than in those groups where the materials were prepared solely by the teacher . This indicates that active student participation in the learning process not only improves comprehension and retention but also promotes the development of critical and creative thinking skills.

Keywords: visibility, education, school age, school resources